პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

24 ნოემბერი ოთხშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან ● № 272 (15182)

გუშინ მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობა

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1971 წლის 23 ნოემბერს მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

„პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: ამხანაგები პ. ე. შელესტი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. გრიშინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ვ. რომანოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, შ. ა. ცაგეევი — სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, დ. ა. კუნაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ს. კულიჩენკო — სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, პ. მ. მაშეროვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. პ. კუდინოვი — კუიბიშევის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის მოტორსამშენებლო ქარხნის მღარავი, ა. ა. გრეჩკო — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, ნ. ნ. ინოზემცევი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი, ა. ე. ვოსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება „პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობის შესახებ“ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო.

პლენუმმა ამხ. მ. ს. სოლომენცევი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა ამხ. მ. ს. სოლომენცევი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით. ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა მუშაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 23 ნოემბრის დადგენილება

სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობის შესახებ, პლენუმი ერთსულოვნად იწონებს და მთლიანად უჭერს მხარს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუშაობას ყრილობის მიერ დასახული საგარეო-პოლიტიკური პროგრამის განხორციელებისათვის.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ თანამიმდევრულად განხორციელებულმა ლენინურმა საგარეო პოლიტიკამ, რომელშიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ მტკიცე მოქმედება და რევოლუციური, განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერა განუხრელად ეხამება სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის თანამიმდევრულ კურსს, უზრუნველყო რა საბჭოთა კავშირის მაღალი ავტორიტეტი მშვიდობიან საქმეებში, ხელი შეუწყო სოციალიზმის, მთელი პროგრესული ძალების საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას, სერიოზული გავლენა მოახდინა საერთაშორისო ვითარების შეცვლაზე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების სასარგებლოდ.

მშვიდობიანი სოციალისტური თანამეგობრობა, მისი ერთიანობა და თანამიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელმაც გავლენა მოახდინა საერთაშორისო პოლიტიკაზე.

პლენუმი მთლიანად იწონებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კონსტრუქციულ პოზიციას და მის პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ იმპერიალისტური აგრესიის საშიში კერების ლიკვიდაციას ინდოჩინეთსა და ახლო აღმოსავლეთში, კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას ინდოჩინეთში, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას აზიაში — დედამიწის ამ უდიდეს რაიონში. მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ სსრ კავშირისა და ეგვიპტის, სსრ კავშირისა და ინდოეთის ხელშეკრულებებს.

პლენუმი იწონებს პრაქტიკულ მოქმედებას იმ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელებისათვის, რომელთაც სხვა სოციალური წყობილება აქვთ.

პლენუმი დიდად აფასებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, რომლის მიზანია გადაწყვიტოს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრალური პრობლემები — უზრუნველყოს ევროპაში დაძაბულობის შენელება, ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპების შემდგომი პრაქტიკული გამოყენება.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, რომელიც გასულ პერიოდში ყველა დარგში, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურ დარგში, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

ევროპაში ისეთი ვითარების შესაქმნელად, რომელიც მთლიანად გამორიცხავდა ამ კონტინენტზე ომის წარმოშობის საფრთხეს, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პერიოდში ახალ ღონისძიებებს, რომლებიც განხორციელდა იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მალე დამტკიცდეს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებანი, მოწესრიგდეს კონტინენტის ყველა სახელმწიფოს ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი საზღვრების, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრების, ურღვევობის აღიარების, თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტისას ძალის გამოყენებაზე უარისთქმის პრინციპების საფუძველზე.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმს დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია ის, რომ სოციალისტური ქვეყნების მიერ წამოყენებულ წინადადებას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის უახლოეს ხანში მოწვევის შესახებ სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მონაწილეობით ევროპის თათბირის მოწვევამ, რასაც ამჟამად მოითხოვენ საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ფინეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების მთავრობები, დიდი როლი უნდა შეასრულოს ევროპის კონტინენტზე მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფაში.

პლენუმი ხაზს უსვამს, რომ ყრილობის შემდგომ პერიოდში ჩვენმა პარტიამ მოძმე პარტიებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი შეკავშირებისათვის, მასში შემავალი ქვეყნების ყოველმხრივი და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავებისათვის, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებისათვის, საერთაშორისო ასპარეზზე მოძმე სახელმწიფოთა მოქმედების შეთანხმებისათვის. ცხოვრებამ კვლავ დაადასტურა, რომ სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა იყო და არის მთავარი ძალა, რომელიც უპირისპირდება მსოფლიო კაპიტალიზმს, თანამედროვეობის განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ბურჯია. ყოველნაირად განამტკიცოს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები, იბრძოლოს სოციალისტურ სახელმწიფოთა შემდგომი კონსოლიდაციისათვის, მათთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის — ეს მიაჩნია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად, თავისი საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად.

პლენუმი ხაზს უსვამს დიდ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა XXIV ყრილობის საგარეო-პოლიტიკური პროგრამის განხორციელებისათვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტებს საფრანგეთში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, ბულგარეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მის შეხვედრას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან ყირიმში, ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის ვიზიტებს ალჟირში, კანადასა და კუბის რესპუბლიკაში, პოლიტბიუროს წევრების, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატების, ცენტრალური კომიტეტის მდივნების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციებისა და საბჭოთა მთავრობის დელეგაციების ვიზიტებს, შეხვედრებსა და კონტაქტების სხვა ფორმებს საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და საპარლამენტო მოღვაწეებთან, პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და სხვა წარმომადგენლებთან.

პლენუმი აღნიშნავს, რომ პოლიტბიურო თანამიმდევრულად ახორციელებს XXIV ყრილობის ხაზს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, და მთლიანად ეთანხმება პოლიტბიუროს პოზიციას ამასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში.

პლენუმი ავალებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კვლავაც თანამიმდევრულად იხელმძღვანელოს XXIV ყრილობის საგარეო-პოლიტიკური პროგრამით, რომლის განხორციელება გაუმჯობესებს საგარეო პირობებს სსრ კავშირში კომუნიზმისა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის ასაშენებლად, საიმედო წანამძღვრებს შეუქმნის მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობას.

პლენუმი მთლიანად უჭერს მხარს პოლიტბიუროს მოხსენებაში წამოყენებულ წინადადებებს საერთაშორისო პოლიტიკის დარგში შემდგომ კონკრეტული ამოცანების თაობაზე.

პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მოძმე კომუნისტური პარტიები, დემოკრატიული საზოგადოებრიობის ფართო წრეები მიესალმებიან და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო საქმიანობას, ხაზს უსვამენ მის დიდი მნიშვნელობას მშვიდობისა და პროგრესისათვის, ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის, იმპერიალისტური აგრესიის კერების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

პლენუმი აღნიშნავს მნიშვნელოვან მუშაობას, რომელიც პარტიულმა ორგანოებმა და სახელმწიფო დაწესებულებებმა გასწიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებისათვის, და მიაჩნია, რომ ამ დარგში მომავალ ამოცანათა მოცულობა და ხასიათი საჭიროებს მთელი მათი საქმიანობის ყოველდღიურ სრულყოფას.

პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტიის XXIV ყრილობის საგარეო-პოლიტიკური პროგრამის განხორციელებისათვის შემდგომი ბრძოლის მსვლელობაში სულ უფრო იზრდება იდეოლოგიური ბრძოლის როლი საერთაშორისო ასპარეზზე. პლენუმი საგარეო-პოლიტიკური, იდეოლოგიური, პროპაგანდისტული ორგანოების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა აამაღლონ საქმიანობის დონე და ეფექტიანობა, აქტიურად დაიცვან ჩვენი ქვეყნის ინტერესები, სოციალიზმის, მთელი კომუნისტური მოძრაობის ინტერესები იმპერიალისტური პროპაგანდისა და მარქსიზმ-ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია კვლავაც გაბედულად ებრძოლოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, აღვზარდოთ საბჭოთა ადამიანები მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

პარტიის მთელ საერთაშორისო საქმიანობას საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის ეკონომიური, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერების განუხრელი ზრდა. ყველა მაჩვენებლის მიხედვით მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას უპირველესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის საერთაშორისო პოზიციების, პრესტიჟის შემდგომი განმტკიცებისათვის, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის, კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში ახალი წარმატებების მოპოვებისათვის.

პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საგარეო-პოლიტიკურ კურსს სრული გაგებით ეკედება და ერთსულოვნად უჭერს მხარს ყველა კომუნისტი, მთელი საბჭოთა ხალხი. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი ძალა.

სკკპ ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

23 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

საინფორმაციო მოხსენება პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **გ. თ. სიზოვმა.**

სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს 1972 წლის პირველ ნახევარში სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის მუშაობის გეგმა.

დღეს მოსკოვში გაიხსნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან წითელ მოედანზე მოსკოვში.

ფოტო „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტის ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მეხუთე რესპუბლიკური კონფერენციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საზოგადოების მეხუთე რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატებს, საზოგადოების ყველა წევრს და უსურვებს მათ წარმატებები მუშაობაში.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოებ-ს მეხუთე რესპუბლიკური კონფერენცია მიმდინარეობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საბჭოთა ადამიანების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მსოფლიო-ისტორიული გადაწყვეტილებებით.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის წმიდათა-წმიდა მოვალეობად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების ყოველი ღონისძიებით ამაღლება და საბჭოთა ადამიანების აღზრდა მაღალი სიფხიზლის და სოციალიზმის დიად მონაპოვართა დაცვისათვის შუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით კვლავაც უნდა შეიადგენდეს პარტიისა და ხალხის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანას.

დიდი როლი ამ საქმეში განეკუთვნებათ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ რიგებში მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა და მოსწავლეთა ფართო მასებს აერთიანებენ.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური ორგანიზაციის წევრთა მილიონნახევარ არმიას საბჭოთა პატრიოტების ერთიან ოჯახში ღირსეული წვლილი შეაქვს სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საზოგადოების ყველა ორგანიზაციისა და წევრის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა. ბრძოლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის, მშრომელთა. უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შემდგომი გაძლიერებისათვის. საჭიროა ყოველი ღონისძიებით სრულყოფილ დაწყებითი სამხედრო მომზადების ფორმები და მეთოდები, ხელი შევუწყოთ მოსახლეობაში სამხედრო და ტექნიკური ცოდნის საფუძვლების გავრცელებას, ავამაღლოთ მასობრივ-ტექნიკური პროფესიათა კადრების მომზადების ხარისხი განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციები პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მზარდაქერთა და აქტიური მონაწილეობით კვლავაც შეიტანენ მნიშვნელოვან წვლილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ ხალხის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში, კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვითუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კონფერენცია

საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მეხუთე რესპუბლიკური კონფერენციის მუშაობის თავი

23 ნოემბერს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის შენობაში გაიმართა საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების V რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ჭანტურიძე. მან წაიკითხა ტექსტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებისა კონფერენციის მონაწილეებისადმი.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თავმჯდომარემ შ. ჯანჯღავამ.

მოხსენება რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საარჩევნო კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ შ. კულიკოვმა.

მოხსენებათა ჯამი გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე პ. კუპატაძემ, საზოგადოების აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ჭანტურიამ, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი მ. იაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ახალციხის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე პ. გელეჯიშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების კერძო ნაწილის მეთაური პ. ბარკოვი, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური ორგანიზაციის წევრი მილიონიან არმიას საბჭოთა პატრიოტების ერთიან ოჯახში ღირსეული წვლილი შეაქვს სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საზოგადოების ყველა ორგანიზაციისა და წევრის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა. ბრძოლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის, მშრომელთა. უწინარეს ყოველისა ახალგაზრდობის, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შემდგომი გაძლიერებისათვის. საჭიროა ყოველი ღონისძიებით სრულყოფილ დაწყებითი სამხედრო მომზადების ფორმები და მეთოდები, ხელი შევუწყოთ მოსახლეობაში სამხედრო და ტექნიკური ცოდნის საფუძვლების გავრცელებას, ავამაღლოთ მასობრივ-ტექნიკურ პროფესიათა კადრების მომზადების ხარისხი განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციები პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მზარდაქერთა და აქტიური მონაწილეობით კვლავაც შეიტანენ მნიშვნელოვან წვლილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ ხალხის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში, კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვითუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

მთავარი თემა — პატრიოტული აღზრდა

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კონფერენცია

23 ნოემბერს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის შენობაში გაიმართა საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების V რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ჭანტურიძე. მან წაიკითხა ტექსტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებისა კონფერენციის მონაწილეებისადმი.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თავმჯდომარემ შ. ჯანჯღავამ.

მოხსენება რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საარჩევნო კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ შ. კულიკოვმა.

მოხსენებათა ჯამი გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე პ. კუპატაძემ, საზოგადოების აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ჭანტურიამ, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი მ. იაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ახალციხის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე პ. გელეჯიშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების კერძო ნაწილის მეთაური პ. ბარკოვი, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების აქტივისტი, საზოგადოების წევრი 1929 წლიდან ზ. ლაბახუა, თბილისის № 66 საშუალო სკოლის დირექტორი მ. მახარაძე და სხვები.

კონფერენციაზე გამოვიდა სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ჯალიაშვილმა და ჭაბუკმა მიიღო მონაწილეობა. მათ შეაგროვეს ვრცელი მასალა, შექმნეს 1600-ზე მეტი საბრძოლო დიდების მუზეუმი, ოთახი და კუთხე. საუკეთესოთა შორისაა გორის საქალაქო მუზეუმი, თბილისის № 88 საშუალო სკოლისა და № 9 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციებთან არსებული მუზეუმები. თბილისის № 66 საშუალო სკოლის კოლექტივი იმ 10 კოლექტივის რიგებშია, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ჩვენს ქვეყანაში.

თანამედროვე სასწავლო-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილია საზოგადოების ავტომატკლუბები. დამტკიცებით შეიქმნა 18 რაიონული და საქალაქო სპორტულ-ტექნიკური კლუბი. ყველა ავტომატკლუბი და 16 სპორტულ-ტექნიკური კლუბი განლაგებულია ახალ სასწავლო შენობებში.

1969-1970 სასწავლო წელს არმიისა და ფლოტისათვის ტექნიკურ სპეციალისტთა მომზადების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის რესპუბლიკამ პირველი ადგილი დაიკავა ჩვენს ქვეყანაში და დაიმსახურა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა. შარშანდელ სასწავლო წელს გორის ავტომოტოკლუბმა პირველი ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის რესპუბლიკების არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საბრძოლო დროშა. შარშანდელ სასწავლო წელს გორის ავტომოტოკლუბმა პირველი ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის რესპუბლიკების არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ავტომოტოკლუბთა შორის და დაჯილდოვდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების კერძო ნაწილის მეთაური ჯილდოებით, ახალწვეულთა დღეები, მხედრული დიდების საღამოები.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიეწყო კომკავშირელთა და ახალგაზრდათა 800-ზე მეტი ლაშქრობა საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. ამ ლაშქრობებში რესპუბლიკის 12 ათასზე მეტმა ჭაღიშვილმა და ჭაბუკმა მიიღო მონაწილეობა. მათ შეაგროვეს ვრცელი მასალა, შექმნეს 1600-ზე მეტი საბრძოლო დიდების მუზეუმი, ოთახი და კუთხე. საუკეთესოთა შორისაა გორის საქალაქო მუზეუმი, თბილისის № 88 საშუალო სკოლისა და № 9 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციებთან არსებული მუზეუმები. თბილისის № 66 საშუალო სკოლის კოლექტივი იმ 10 კოლექტივის რიგებშია, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ჩვენს ქვეყანაში. თანამედროვე სასწავლო-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილია საზოგადოების ავტომოტო

ჭიათურელი მეშახტე

გვეპრდ № 9

ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი როლი ეკუთვნით პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მშრომელთა მილიონიან მასებთან და ცხოვრების შუაგულში ტრიალებენ.

ყრილობის გადაწყვეტილებებში ნათქვამია, რომ მუდმივად უნდა ვაუმჯობესებდეთ პროფკავშირთა საქმიანობას, რათა ისინი ნაკლებად ასრულებდნენ პარტიის სკოლის, მთავრობის გაძღოლის სკოლის, კომუნიზმის სკოლის როლს.

„კომუნისტის“ რედაქცია დღეიდან იწყებს და პერიოდულად გამოაქვეყნებს გაზეთის შურცლებზე გვერდებს „პროფკავშირული ცხოვრება“, რითაც იგი შეეცდება ხელი შეუწყოს პროფკავშირული მუშაობის ახალ ასპექტებს, რადგანაც იმედოვნებს, რომ პროფკავშირული ცხოვრების მრავალფეროვანი საკითხების გაშუქებაში მას დაეხმარებიან ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკები, პროფკავშირული აქტივისტები.

მაშ ასე, ველით თქვენს წერილებს, ძვირფასო მეგობრებო!

მაღალი აქტივობით

პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციებში დამთავრდა ანგარიშგება და არჩევნები

□

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობდა ანგარიშგება და არჩევნები რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებში. საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა და კონფერენციებმა პირველად 94-95 პროცენტი, აქედან ქამაში მონაწილეობდა 11-13 პროცენტი. კრებებზე წამოიჭრა ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხი პროფკავშირთა საწარმოო-მასობრივი და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების წარბატებას ხელი შეუწყო პარტიული პროფორგანიზაციის ყოველდღიურმა ხელმძღვანელობამ და დახმარებამ.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების კარგ ორგანიზაციასთან ერთად იყო ცალკეული ნაკლოვანებანიც, ზოგიერთ ორგანიზაციაში კრებებს ესწრებოდა პროფკავშირის წევრთა მცირე რაოდენობა, კრებების მონაწილენი ხშირად არ მონაწილეობდნენ პროფკავშირული ცხოვრების მრავალფეროვან საკითხების განხილვაში. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა დასახა ღონისძიებანი ახლად არჩეული პირველადი პროფკავშირული კომიტეტებისადმი ხელმძღვანელობისა და პრაქტიკული დახმარების გაძლიერებისათვის, კურსებსა და სემინარებზე პროფკავშირული მუშაკთა და აქტივისტთა სწავლების გაუმჯობესებისათვის.

პირველადს პროფორგანიზაციათა კომიტეტებს დაევალათ განიხილონ მუშათა და მოსამსახურეთა წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე გამოითქვნენ, და სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად განსაკუთრებული ღონისძიებანი მათი რეალიზაციისათვის. (საქინფი).

ციფრების ენით

⊙ საქართველოში არის 15.840 პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ მილიონნახევარზე მეტ მუშა-მოსამსახურეს.

⊙ **რესპუბლიკაში მუშაობს 2.360 მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირი. მათში ჩაბმულია პროფკავშირთა 82.131 წევრი, რომელთაგან 61.560 მუშაა.**

⊙ მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საწარმოო თათბირების მიერ მიღებულ იქნა 16.538 წინადადება, რომელთაგანაც დაინერგა 13.252.

⊙ ამ წლის პირველ ნახევარში პროფკავშირული სწავლება გაიარა 151.341 კაცმა.

⊙ **უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვი და ახლა მასში 918 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობს.**

⊙ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ჩაბმულია 421.852 კაცი, ანუ ორჯერ მეტი 1961 წლთან შედარებით.

⊙ **კომუნისტური შრომის სახელს ატარებს 110 საწარმო, 12.202 ბრიგადა, ხაამქრო, უბანი და განყოფილება. დამკვრელის წოდება მიკუთვნებული აქვს 167.492 კაცს.**

საქარხნო კომიტეტის ერთი დღე

ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღე... ჩვეულებრივიო, ვამბობთ, თორემ ყოველდღიურად ხომ სულ ახალი საზრუნავი და საქმეები აქვს საქარხნო კომიტეტს.

ამ დღეს თბილისის სართავ-სატრაქტაფო კომბინატის ნოვატორი მრთველის მ. არათანაშვილის ინიციატივის დანერგვისა და გავრცელების მიმდინარეობაზე ჰქონდათ სჯა-ბაასი. საქარხნო კომიტეტის სხდომაზე. აღინიშნა, რომ ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა მოძრაობა ხუთდღიური დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის. შეჯიბრებაში ჩაება რამდენიმე ათეული ტრაქტორმშენებელი. მაგრამ კომიტეტზე ისიც ითქვა, რომ თუმცა სამსხმელო და დამამზადებელ უბნებში ბევრი მუშა დიდი გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს, მათთან საჭირო ახსნაგანმარტებითი მუშაობა არ წარმოებს. ამით აიხსნება, რომ ორივე უბანზე შეჯიბრებაში ჩაება და შრომის ნაყოფიერების ზრდის პირადი გეგმა შეადგინა მხოლოდ მუშათა მცირე ნაწილმა. კომიტეტის წევრებმა ბევრი სხვა პრაქტიკული საკითხიც წამოაყენეს, რამაც ასახვა ჰპოვა სათანადო დადგენილებაში.

საქარხნო კომიტეტმა ამავე სხდომაზე განიხილა დებულებები ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების ნორმების დანერგვისა და ნაწარმის შრომატევადობის შემცირებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საწარმოო დავალებების წარმატებით შესრულებისათვის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების პრემირების შესახებ.

ამავე დღეს საქარხნო კომიტეტმა განიხილა საკითხი ზოგიერთი მუშისა და მოსამსახურისათვის ერთდროული ფულადი დახმარების მიღებაზე ქარხნის ადმინისტრაციისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

კომიტეტის ეს ერთი სხდომა, შეიძლება ითქვას, ყველაზე მთავარი და საგულისხმო მომენტი იყო საქარხნო კომიტეტის მთელი დღის საქმიანობაში. მაგრამ ამ დღეს პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე შ. გურცხვანიძემ საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს აცნობეს, რომ ზუსტი სხმულების განყოფილებაში მეორე სართულზე ასახსნელ კიბეს მშენებლებმა მოაჯირები არ გაუკეთეს და სამუშაო ისე მიატოვეს. თავმჯდომარემ მაშინვე ადგილზე შეამოწმა საქმის მდგომარეობა. სიგნალი დადასტურდა. მიღებული ზომების შედეგად კიბეს მეორე დღისვე გაუკეთეს მოაჯირები.

ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგმა გ. ფურცელაძემ ამავე დღეს საქარხნო კომიტეტს სთხოვა დახმარება აღმოეჩინათ მისი პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით საჭირო საბუთების მომზადებისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში წარდგენისათვის. ეს თხოვნა დროულად დაკმაყოფილეს. საკმისო საბუთები. თუმცა საამისოდ განცხადების შეტანის დღიდან 10 დღის ვადაა გათვალისწინებული, მეორე დღესვე წარადგინეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში.

№ 1 მექანიკური საამქროს ხარატმა გ. კიკვიძემ საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს მიმართა და საუვედურო გამოთქვა იმის გამო, რომ მუშათა სასადილოში სრულებით არ იყო პაპიროსი. ამ საკითხის მოგვარება სასადილოს გამგეს დაევალა, და კიდევაც მალე მოგვარდა.

ამავე დღეს № 1 საამქროს ხარატმა გ. მირცხულავამ, სამსხმელო უბნის მუშამ გ. კანდელაკმა და ტექნოლოგიური განყოფილების უფროსმა ოსტატმა კ. დუნდუამ საქარხნო კომიტეტს განცხადებით მიმართეს მათთვის საკურორტო პროფკავშირული საგზურების მიცემის თაობაზე.

საქარხნო კომიტეტის დიდი საზრუნავი იყო ამ დღეს მუშათა დასვენების ორგანიზაცია, როგორც წინასწარ იყო დათქმული, საღამოს მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის გაბათვილის გორაზე კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა კოლექტიური გართობა-სეირნობა. აქვე მოეწყო ავრეთვე სპორტული შეჯიბრებები.

და კიდევ, ამავე დღეს, საქარხნო კომიტეტის სპორტული სექციის ხელმძღვანელმა მ. ხვისტანმა შემოიტანა წინადადება მომავალი ივნის დასვენების შემოტანის დღეებში ხარისთვალაზე ორდღიანი ტურისტული ლაშქრობის მოწყობის შესახებ. საქარხნო კომიტეტის კულტურულ-მასობრივი მუშაობის კომისიამ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. გადაწყდა ხარისთვალაზე ღამის თევითა და კვრევის გაშლით მოეწყოთ 30 ტრაქტორმშენებელის ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა.

ბევრმა მუშამ და პროფკავშირულმა აქტივისტმა მიმართა ამ დღეს საქარხნო კომიტეტს. თავის მხრივ კომიტეტმაც სხვადასხვა საკითხზე გამოძახება ადამიანები. საწევრო შესატანების საკითხზე გამოძახებულ № 2 საამქროსა და ქარხნის სამმართველოს პროფკავშირული კომიტეტების ბაზისდარბი გ. ცენტერაძე და ე. ბარდაველიძე, ხოლო თერმულ უბნის პროფორგს მ. წულაძეს დაევალა განეხილებინა და წესრიგზე მოეყვანა სოციალისტური შეჯიბრების დაფა.

ასე მიიწურა საქარხნო კომიტეტის ერთი სამუშაო დღე, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა მრავალმხრივ და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაცია მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

საქარხნო კომიტეტის, ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციის დიდი წვლილია ჩაქსოვილი იმაში, რომ ქუთაისელი ტრაქტორმშენებლები თვედადებულად შრომობენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, თვიდან თვემდე ზრდიან პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის მოცულობას, ამაღლებენ წარმოების ეფექტიანობას.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნაკლოვანებები არის, გამოვასწოროთ!

წევრთა ინტერესების დაცვას საქმეში, რომ საჭიროა კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებების ადმინისტრაცია ასრულებდეს მთლიანად, ვინაიდან მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური უზრუნველყოფა დიდად უწყობს ხელს შრომის დისციპლინის განმტკიცებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამასწინათ მიღებულ დადგენილებაში „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ მითითებულია იმაზე, რომ „არსებითი ნაკლოვანებანია შეჯიბრების მონაწილეთა წახალისებაში. კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს. აქ გადაჭარბებით შესრულდა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, წარმოებას გეგმის გადამეტებით ჩაბარდა ათეულ ტონობით „მწვანე ოქრო“.

ამ წარმატებებში გარკვეული წვლილი მიუძღვის საკოლმეურნეო პროფკავშირულ ორგანიზაციას, რომელიც 64 წევრს აერთიანებს. პროფკავშირულ აქტივისტთა დახმარებით და მათზე დაყრდნობით კარგად გვაქვს დაყენებული სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც უკლებლივ ყველა კოლმეურნეა ჩაბმული. ჩვენთან მტკიცედ დამკვიდრდა ტრადიცია. შეჯიბრებით ბაისრ ვალიღებულებათა შესრულებას ყოველ დეკადურად და ყოველთვიურად შეაჯამებთ.

კომიტეტის წევრები თვითონ იძლევიან დავალებათა შესრულების კარგ მაგალითს. ამ მხრივ საგულისხმოა ნაყოფიერი შუშაობა კომიტეტის აქტიური წევრის, მძღოლ ხ. ბაკურაძისა, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებს. კ. შურუბოვი მოწინავე მექანიზატორად ითვლება მთელ კოლმეურნეობაში. ივივე ითქმის ბრიგადირ ვ. ჭკადუას, რომელიც ხარისთვალაზე ორმაგად ასრულებს ნორმებს, წლიურ გეგმა კი ყველაზე ადრე გაანაღდა — 25 აგვისტომდე შესრულება და 24 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა.

ვიყენებთ მატერიალურ და მორალურ სტიმულებს. წელს ბევრ კოლმეურნეს მივეცით სხვადასხვა სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის საგზურები. ვზრუნავთ კოლმეურნეთა შვილების პიონერთა ბანაკებსა და დასასვენებელ ადგილებში გასაგზავნად. ხშირად ვაწყობთ კოლექტიურ ექსკურსიებს ჩვენი რესპუბლიკის სხვა დასხვა კუთხეში.

ახალმა პირობებმა დიდი ამოცანები დაგვაკისრა.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ მეტ აქტივობას, თითოსტობასა და ინიციატივას სამეურნეო საკითხების გადაჭრისას. ისინი უფრო ახლოს უნდა მივიდნენ წარმოებასთან, მჭიდროდ დაუკავშირდნენ თავიანთ კოლექტივებს. ზრუნველყონ სხვილმწოთო დავალებებისა და ნაკისრ ვალდებულებათა განაღდება.

ჩვენც მზად ვართ შევასრულოთ პარტიის ყველა მითითება.

რ. ისაკოვი,
მაბარაძის რაიონის სოფელ მაბარაძის საკოლმეურნეო პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

პასუხი შეკითხვებზე

ხელფასი და პროფკავშირის საწევრო შესატანები

კითხვა: ჩვენს ქარხანაში პროფკავშირის საწევრო შესატანების აკრეფა ძირითადი ხელფასის გარდა ხდება აგრეთვე პრემიალური და ზედმეტ საათებში მუშაობისათვის გაცემული თანხებიდან, რაც მუშებს არასწორად მიაჩნიათ.

გთხოვთ განგვიმარტოთ, სწორად იქცევა თუ არა ჩვენი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტი და საერთოდ რა თანხებიდან ხდება პროფკავშირის საწევრო შესატანის გადახდა?

ზ. ხაშალია,
ქ. ქუთაისი.

პასუხი: თქვენი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტი სწორად იქცევა. ამ სახის საწევროთა გადახდა ხდება საკავშირო პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული „პროფკავშირში შესასვლელი და ყოველთვიური საწევრო შესატანის მიღებისა და აღრიცხვის წესის შესახებ ინსტრუქციის“ მიხედვით.

ინსტრუქცია ითვალისწინებს, რომ ხელფასის, პრემიებისა და სხვა გასამრჯელოს ჯამში, რომლებიდანაც წარმოიქმნება საწევრო შესატანის გადახდა, შედის: ძირითადი ხელფასი და დამატებითი ხელფასის ყველა სახე, პრემიები და სხვა ფულადი გასამრჯელონი შრომითი საქმიანობისათვის, მეცნიერული აღმოჩენებისათვის და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, აგრეთვე სხვა პრემიები და გასამრჯელო, მიუხედავად იმისა თუ რა სახსრების ხარჯზე და რომელი ფონდებიდან გაიცემა ისინი.

ამას გარდა საწევროს გადახდა ხდება ზედმეტ საათებში, ყოველკვირეულ დასვენების დღეებში და სადღესასწაულო დღეებში მუშაობისათვის, სპეციალური დავალებებისათვის, მომსახურებისა და სამუშაოებისათვის (კონსულტაციები, ექსპერტიზის ანაზღაურებული თანხებიდან, ჰონორარიდან, ხელოსანზე დანამატებიდან ნამსახურებისათვის, წოდებისათვის, სამეცნიერო ხარისხისათვის, კლასისათვის, უცხო ენების ცოდნისათვის და ა. შ.).

მიღებული დანამატების, პრემიებისა და ფულადი ანაზღაურების სხვა სახის თანხები დაჯამებულ უნდა იქნას პროფკავშირის წევრის ძირითად ხელფასთან და ერთობლივად იქნას გათვალისწინებული საწევროს შეტანისას, იმ თვეში, როცა მიღებულია ეს ფულადი თანხები.

პროფკავშირის საწევრო შესატანის გადახდა არ წარმოებს შემდეგი სახის ფულადი გასამრჯელოებიდან: დროებითი შრომისუუნარობის გამო მიღებული დახმარებიდან, მომუშავე პენსიონერების პენსიებიდან, ლენინური და სახელმწიფო პრემიებიდან, კონკურსებში და სპორტულ შეჯიბრებებში მიღებული პრემიებიდან და პრიზებიდან, ერთდროულად გაცემული პრემიებიდან და გასამრჯელოებიდან, რომლებიც მიეცემათ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დროს, ასევე ერთდროული ჯილდოებიდან, რომლებიც მუშაკებს ეძლევათ სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის ნორმალური ვადის გასვლის შემდეგ, ასევე ერთდროული ჯილდოებიდან, რომლებიც მუშაკებს ეძლევათ

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო.

მკითხველებო!

თუ გინდათ „კომუნისტი“ 1 იანვრიდან მიიღოთ,

ხელისმოსაწერად თქვენს განკარგულებაშია მხოლოდ 2 დღე.

სექტემბრის შეკვეთასკნელი ვადაა 25 ნოემბერი

საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის იუბილესათვის

სამეცნიერო ტრადიციული...

მოძმე რესპუბლიკების მეცნიერთა შეკრება

დღეს, 24 ნოემბერს, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა მე-16 სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, კ. მარქსის სახელობის ერევნის პოლიტექნიკური, აზერბაიჯანის ჩ. ილდრიმის სახელობის პოლიტექნიკური, აზერბაიჯანის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მ. აზიზბეკოვის სახელობის ნავთობის და ქიმიის ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლები. კონფერენცია ეძღვნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ხელვარსაუკუნოვან იუბილეს.

გუშინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ი. ბუაჩიძეს და სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის გაეცნო, თუ რა ძირითადი საკითხები იქნება განხილული კონფერენციაზე.

— ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციები უკვე რამდენიმე წელია ტრადიციულად იმართება თბილისში, ერევანსა და ბაქოში, — აღნიშნა პროფესორმა ი. ბუაჩიძემ, — კონფერენციებზე ვაჯამებთ ჩვენ წვალებელთა კონფერენციები მუშაობას, ერთმანეთს ვაცნობთ მიღწევებს კვლევის დარგში.

წლევანდელ, მე-16 კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ყრილობაზე დასმული ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საკითხებს.

კონფერენციაზე იმუშავებს საზოგადოებრივი მეცნიერების, მექანიკა-მათემატიკის, მანქანათმშენებლობის, არქიტექტურისა და მშენებლობის, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის, ავტომატიკის, მეტალურგიის, ტრანსპორტისა და სხვა სექციები, სულ 14 სექცია. ამ სექციების სხდომებზე მოსმენილი იქნება 230 მოხსენება.

კონფერენციის მსვლელობის დროს გაიმართება შემოქმედებითი შეხვედრები კათედრებზე, საკვლევ ლაბორატორიებში.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენცია მუშაობას დაამთავრებს 27 ნოემბერს.

სამყარო ბავშვების თვალით

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერიაში გაიხსნა რესპუბლიკის მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის მხატვრული ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო მეთოდურმა კაბინეტმა.

გამოფენაზე წარმოდგენილია 200 ავტორის 1500-ზე მეტი ნამუშევარი კერამიკაში, ჭედურობაში, ფერწერაში, ლინოგრავიურაში... გამოფენაში მონაწილეობენ რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონის და თბილისის თითქმის ყველა სკოლების მოსწავლეები.

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი წარმომადგენლები სისტემატურად მონაწილეობენ ყველა საართაშორისო და საკავშირო გამოფენებში, იყვნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილენიც, და ყველგან, სადაც კი წარმოადგინეს თავიანთი შემოქმედება, დაიმსახურეს ოქროს მედლები და სხვა საპატიო ჯილდოები. ამ მხრივ მათ დიდი და სასახელო ტრადიცია აქვთ.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამგემ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ჯ. მუჯირიმა. ვერნისაჟზე გამოვიდნენ: ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ეგაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი გ. გორდელაძე და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის სკოლების განყოფილების გამგე ზ. ლომიძე.

წარმოდგენილ ნამუშევრებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი გამოყენებით ხელოვნებას — ქსოვის, ხეზე მუშაობისა და კერამიკის სახით.

გალერიას ამშვენებს ლამაზი დეკორაციული ზომიერებით ამოქარგული ხალიჩები და გობელენები, პორტრეტები — სხვადასხვა ხასიათებითა და ლაღი ფერებით, ხეზე თუ ქვაზე ამღერებული ჩუქურთმა, თვალწარმტაცი პეიზაჟები, და ყველგან, ყველაფერში ფერთა სინატიფე, ორიგინალური ხედვის კუთხე და განწყობა, ლიმონწყნა შერწყმული გრაცია. ამ ჰარმონიას კი ჰქმნიან ბავშვური შთაბეჭდილებები, მათი თვალებით დანახული სამყარო.

ზოგი ნორჩი შემოქმედის ნამუშევარს თუ ნაკლი ემჩნევა, ზოგი გამოირჩევა განსაკუთრებული ხელწერითა და სტილით და თავისი შესაძლებლობებით თითქმის პროფესიონალებს უტოლდება.

სამხატვრო გალერია პირველად დაეთმო ბავშვების შემოქმედებას. გამოფენა ორ კვირამდე გასტანს და უკვე ჩანს, რომ იგი ტრადიციად იქცევა.

ბ. დურგლიშვილი.

ტურისტები ქლუხორის გადასასვლელზე.

ფოტო დ. კახურაშვილისა.

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფება, მეორე მატჩი გამართა ქალაქ გელზენკირხენში საკლუბო გუნდ „შალკე-04“-თან და შეხვედრა ფრედ — 0:0 დაამთავრა.

სსრ კავშირის კლუბების ნაკრები ბრაზილიას ეწვია და ქალაქ რესიფში გამართა პირველი საერთაშორისო შეხვედრა ადგილობრივ ფეხბურთელთა საკლუბო გუნდთან — „ესპორტესთან“. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრედ დამთავრეს.

მრევნის „არარატი“ განაგრძობს ტურნეს საზღვარგარეთ. მორიგი საერთაშორისო შეხვედრა ერევნელ ფეხბურთელებს ჰქონდათ ბეირუთში ლიბანის „ჰომენმენთან“ და გაიმარჯვეს 4:0 (1:0). სამი ბურთი გაიტანა მარქაროვმა, ერთი — არუთინიანმა.

საზღვარგარეთ ტურნეს მართავს ავგრეთვე ტაშკენტის „პახტაკორი“. ტაშკენტელებმა პირველი მატჩი ნაირობში კენიის ნაკრებთან ფრედ — 1:1 (1:0) დაამთავრეს. კენიელთა კარში ბურთი აბდურაიმოვმა გაიტანა.

სტაფრტზეა დიდი კალათბურთი

25 ნოემბერს ჩვენი ქვეყნის ხუთ ქალაქში სტარტს აიღებს საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. წელს პირველობაში ჩაებმება არა 12 გუნდი, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ 10 კოლექტივი. ბი ეს გუნდები — ცსკა, ლენინგრადის „სპარტაკი“, კაუნასის „ჟალგირისი“, მოსკოვის „დინამო“, კიევის „სტროიტელი“, ტარტუს „კალევი“, თბილისის „დინამო“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, კიევის სკა და ვილნიუსის „სტატბა“. სეზონის ბოლოს უმაღლეს ლიგას დატოვებს უკანასკნელი ადგილზე გამოსული ორი კოლექტივი და მათ ადგილებს დაიკავებენ პირველი ჯგუფის უძლიერესი გუნდები.

ჩემპიონატი მოეწყობა სამ წრედ. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეულ გუნდს ნოემბრიდან აპრილამდე გასამართავი ექნება 27 მატჩი. როგორც ადრე, ახლაც პირველი ორი წრის შეხვედრები მოეწყობა საკუთარ და მოწინააღმდეგის მოედნებზე, ხოლო უკანასკნელი წრის მატჩები ჩატარდება ორ ტურად. მომავალმა ოლიმპიურმა ასპარეზობამ საბჭოთა ხელბურთელებისა, ქალაქ მარტინში გამოდიოდა სოციალისტური ქვეყნების ვაჟთა ექვსი გუნდი.

● **ბაშკენტში** გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ასუჯრედიან შაშში. უკვე გათამაშდა ცხრა ტური. ლიდერია მოსფლიოს ჩემპიონი ანდრეიკო, რომელსაც 6,5 ქულა აქვს რვიდან.

პირველი პარტია გადაიდო

კისლოვოდსკი. 23 ნოემბერი (ტელეფონით სპეც. კორ.). როგორც მოსალოდნელი იყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის სტარტმა ა. კუშნირისა და ნ. ალექსანდრიას მონაწილეობით დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. პირველ პარტიაში თეთრებით თამაშობდა ა. კუშნირი. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა ნანამ უფერულად ჩაატარა. ვფიქრობთ, რომ ეს ზედმეტი მღელვარებით და დიდი პასუხისმგებლობით იყო გამოწვეული.

თეთრებმა ლაზიერის პაიკით დაიწყეს თამაში. ალექსანდრიამ ახალნინდურ დაცვას მიმართა. მისი პოზიცია მე-10 სვლამდე ურიგო როდი იყო. მაგრამ მე-13 სვლიდან მან ბრძოლის საეჭვო გეგმა აირჩია. მალე თავი იჩინა ცაიტნოტმა, 22-ე სვლაზე ალექსანდრია შეცდა და იძულებული იყო დაეთმო პაიკი, ამას მოჰყვა მეორე პაიკის დაკარგვა. პარტია გადაიდო ალექსანდრიასათვის მძიმე მდგომარეობაში. 42-ე სვლა ნანამ ჩაწერა.

ამ გადადებული პოზიციაა:

თეთრები: მფh2 ეე6 პპ:ე8 f2 g2 h3.

შავები: მფh7 ეხ4 პპ:g7 h4.

24 ნოემბერს გაიმართება მატჩის მეორე პარტია. თეთრებით თამაშობს ნ. ალექსანდრია.

ე. უგილავა,
ოსტატი.

ა. ალიხანოვის მევორიალი

გუშინ მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში მიძღვნილი ა. ალიოხინის ხსოვნისადმი. მონაწილეობას იღებს 18 მოჭადრაკე, აქედან ჩვენი ქვეყნის 11 გროსმაისტერი, რომელთაც სათავეში უდგას მსოფლიოს ჩემპიონი ბ. სპასკი.

დღეს გაიმართება პირველი ტური.

ფინალისტები ცნობილია

იუგოსლავიასა და იტალიაში ამოფეურა ნახევარფინალური ტურნირები წყალბურთში ევროპის ჩემპიონთა თასზე.

იტალიის ჯგუფში სხვებთან ერთად გამოდიოდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო კლუბის გუნდი. საბჭოთა წყალბურთელებმა უკანასკნელი მატჩი ქალაქ გენუაში ფრედ — 2:2 დაამთავრეს იტალიის ჩემპიონთან „პრო რეკოს“ გუნდთან და 5 ქულით ფინალში გავიდნენ. ფინალის საგზური მოიპოვეს აგრეთვე იტალიელმა წყალბურთელებმა. მეორე ნახევარფინალური ჯგუფიდან წარმატება ხვდათ იუგოსლავიის „პლადოსტს“ და ჰოლანდიის „დე რობენს“.

მ. პეტრენკო

86 წლის ასაკში გარდაიცვალა სკკპ წევრი 1918 წლიდან, პერსონალური პენსიონერი მირონ ივანეს-ძე პეტრენკო.

მ. პეტრენკო დაიბადა 1886 წელს წითელწყაროს რაიონის სოფ. წყაროში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ახალგაზრდობის წლები გაატარა მოჯამაგირეობაში.

1908-1911 წლებში მსახურობდა მეფის არმიაში. შემდეგ მუშაობა დაიწყო რკინიგზაზე ქ. თბილისში, ხოლო 1919 წლიდან გადავიდა წითელწყაროში, სადაც მისდევდა სოფლის მეურნეობას.

1921 წლის თებერვალში მ. პეტრენკო არჩეული იქნა სოფ. წყაროს რევკომის პირველ თავმჯდომარედ. შემდგომ წლებში სხვადასხვა დროს მუშაობდა წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის და სოციუზრუნველყოფის განყოფილების გამგედ, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, წითელწყაროს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

მ. პეტრენკო იყო შრომისმოყვარე, პრინციპული კომუნისტი, გულისხმიერი ამხანაგი. პენსიაზე გასული იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაჯილდოებული იყო რამდენიმე ორდენითა და მედლით.

მ. პეტრენკოს ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ქვარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

მილიცია ეძებს...

როცა „მოსკვიჩმა“ შაუმიანის ქუჩაზე ტყვიასავით ჩაიჭრილა, ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, მეტრო „ისანთან“ დაეჯახა თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის შუშას ტრიელ ვარდოს-ძე კაჭარავას. დაზარალებული კეთილმა ადამიანებმა სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად საავადმყოფოში წაიყვანეს. დამნაშავე მძღოლი კი მანქანიანად შემთხვევის ადგილიდან გაიქცა...

მოხდა ერთი დანაშაული, რომელსაც მეორე ბოროტმოქმედიც დაემატა... მირლატარ საიდგასან ოღლი კასუმოვს არა თუ სინანული არ უგრძვნია, როცა საკუთარი ავტომანქანა დაჯახა ტაკაჭარავას, არამედ იმითაც არ დაინტერესებულა, ცოცხალი გადარჩა თუ არა იგი. მას დღესაც ეძებს მილიცია.

ბ. გორელი.

რამდენიმე სტრიქონით

● **მოსკოვში** გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ძიუდოში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის არმიელ მოჯიდავეთა გუნდებს შორის. წარმატება საბჭოთა ძიუდოისტებს ხვდათ 13:6.

● სსრ კავშირის ხელბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მესამეჯერ მოიპოვა „მეგობრობის თასი“, გარდა საბჭოთა ხელბურთელებისა, ქალაქ მარტინში გამოდიოდა სოციალისტური ქვეყნების ვაჟთა ექვსი გუნდი.

● **ბაშკენტში** გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ასუჯრედიან შაშში. უკვე გათამაშდა ცხრა ტური. ლიდერია მსოფლიოს ჩემპიონი ანდრეიკო, რომელსაც 6,5 ქულა აქვს რვიდან.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1972 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით

1. ჩაის ტექნოლოგია.
2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია
3. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ექსპლოატაცია და რემონტი
4. სუბტროპიკული კულტურები (სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები)

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

1. მიკრობიოლოგია
2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია
3. ზოგადი მიწათმოქმედება
4. სელექცია და მეთესლეობა
5. მემცენარეობა
6. სუბტროპიკული კულტურები (სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები).

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქეები არა უმეტეს 35 წლისა, ხოლო ასპირანტურაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ არაუმეტეს 45 წლისა, რომლებსაც დამთავრებული უმაღლესი განათლება აქვთ და გამოავლინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნიჭი, სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვიდან.

სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც ასპირანტურაში შედიან, უნდა ჰქონდეთ გამოცდილება არანაკლებ სპეციალობის პროფილით სულ მცირე ორი წლის პრაქტიკული მუშაობისა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება არანაკლებ სპეციალობის პროფილით სულ მცირე ორი წლის მუშაობისა, მიიღებიან ასპირანტურაში მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საკითხებზე.

1. განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას უმაღლესი სასწავლებლის რექტორის სახელზე და დაერთოს:

ა) ქადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით.

ბ) დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან;

გ) გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშების, გამოგონებათა შესახებ ცნობების, საცდელ-საკონსტრუქტორო შრომების სია. ამ პირებმა, რომლებსაც არა აქვთ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშები, აგრეთვე საცდელ-საკონსტრუქტორო შრომები და გამოგონებანი, უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენებები (რეფერატები) არჩეული სპეციალობის მიხედვით.

დ) № 6 ფორმის მოწმობები მოცემული სპეციალობისათვის გათვალისწინებული საკანდიდატო გამოცდების ჩაბარების შესახებ, იმ პირთათვის, რომლებსაც მთლიანად ან ნაწილობრივ ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო გამოცდები.

ე) პასპორტს და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ დიპლომს ასპირანტურაში შესვლელი წარადგენს პირადად.

ასპირანტურაში მიღების შესახებ განცხადებათა მიღება წარმოებს 1971 წლის 1 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე

საკონკურსო გამოცდები 1971 წლის 1 დეკემბრიდან.

იმ პირებს, რომლებიც დაშვებული არიან ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად, ეძლევათ დამატებითი შვებულება — 30 კალენდარული დღე და ენახებათ ხელფასი მუშაობის ადგილის მიხედვით გამოცდების ჩაბარებისათვის მოსამზადებლად.

ასპირანტურაში შემსვლელნი საკონკურსო გამოცდებს აბარებენ სპეციალობაში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლებლებისათვის გათვალისწინებული პროგრამის მოცულობით.

განცხადებები და დოკუმენტები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: **ქალაქი სოხუმი, კელასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.**

დისერტაციების დაცვა

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

12 დეკემბერს, 12 საათზე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად:

ვაჟა ალექსის-ძე ბუჩუკური თემაზე: **„ვენახის რიგთაშორისებში მუხლუხა სატრაქტორო აგრეგატის, როგორც ავტომატური მართვის ობიექტის, მოძრაობის დინამიკის გამოკვლევა“.**

28 დეკემბერს, 12 საათზე, **ნინო ივანეს ასული გრიცუნი** თემაზე: **„სრულიად რუსეთის მევენახეობის საკვლევი ინსტიტუტის ყინვაგამძლე ვაზის ტექნოლოგიური შესწავლა“.**

ვაჟა ნიკოლოზის-ძე მამაიაშვილი თემაზე: **„შირაქის ველის მევენახეობა-მეღვინეობა და მისი ღვინოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების ზოგიერთი საშუალება“.**

სადისერტაციო ნაშრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. №8).

14 დეკემბერს 12 საათზე **ნათელა ეპიფანეს ასული იმნაძე** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე **„მეგრული ბგერითი შედგენილობა (ექსპერიმენტული გამოკვლევა)“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

24 ნოემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 12.15 — სატელევიზიო ფილმი „მე ოვითონ“ (პირველი და მეორე სერია), 17.05 — „ქვემთა დასახმარებლად“, 17.50 — კინონარკვევი, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — პროგრამა ბავშვებისათვის: „ცეროდენას ეკრანი“, 18.30 — „მუსიკის საათი“, 19.00 — „მსოფლიო დღეს“, 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — „როგორ ვუყრით საფუძველს ჩაის კულტურის 1972 წლის უზრ მოსავალს“, 19.55 — „კომპაქტორის პრემიის ლაურეატები“ — მორის ფოცხიშვილი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — სატელევიზიო სპექტაკლი „ეს არ უნდა მომხდარიყო“. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 21.45 — „სამართლებრივი ცოდნა მასებს“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (გეომეტრიული მასალა, ტეხილი წირი, კუთხე მე-4 კლასის მათემატიკის კურსში ახალი პროგრამის მიხედვით), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — გადაცემა „ზოგიერთ ერთცვლადიან ტიპურ განტოლებათა ამოხსნის ნიშუებში“, 19.50 — განცხადებები, 19.55 — ტექნიკუმების მოსწავლეთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 20.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხაზვაში, 21.40 — მხატვრული ფილმი „პარიზის განთიადი“.

25 ნოემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი, 12.30 — ქართული მხატვრული ფილმი „გაზაფხული“, 14.00 — გადაცემა „კანონიერების სადარაჯოზე“, 17.05 — ამბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — განცხადებები, 18.45 — ახალგაზრდობისათვის — „ტელეპროექტორი“, 19.00 — გადაცემა — „ადამიანი და სამყარო“, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — 1. „პაოლტრა“, 2. მხატვრული ფილმი „ეფრეიტორ ზხრუცის შვიდი საოცრება“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მწვრალი სტუდიაში.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ისტორია (საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია XVIII საუკუნეში), 19.05 — განცხადებები, 19.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 20.55 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 21.25 — მხატვრული ფილმი — „გაისროლე ჩემს მაგივრად“.

თეატრები

24 ნოემბერი

ჯ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — 1. სოფლის პატივისცემა, 2. კაპრიჩიო; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კოლმეურნის ქორწინება; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვოდევილები; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჟურკას ქორწილი.

რედაქტორი
დ. მგელაძიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი ინდექსი 60443 უე 04973

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.